ბიულეტენი

აჭარის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
ყოველთვიური საინფორმაციო ორგანო

№4 (10) აპრილი 2008 წელი

წმიდა სამება

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალი

ბიულეტენი გამოდის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილის) ლოცვა-კურთხევით 2007 წლის ივლისიდან

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II აღსაყდრების 30 წლისთავი

ილია II ხატწერა

ახლახან გამოიცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II მიერ შექმნილი ფერწერული ნაწარმოებების ალბომი.

მასში წარმოდგენილ ნამუშევართა მიხედვით, მისი უწმიდესობის მხატვრობაში იკვეთება სამი ძირითადი მიმართულება: პირველს წარმოადგენს დაზგური ხატწერის ნიმუშები („ყოვლადწმიდა სამება", „ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი", „წმიდა მთავარანგელოზი მიქაელი" და სხვ.). ეს ხატები, ძირითადად, დაწერილია ტემპერის საღებავებით ტილოზე ან ხეზე; მათში მკაცრადაა დაცული ტრადიციული, აკადემიური და კლასიკური კანონები.

მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა ხატი „ყოვლადწმიდა სამება". ოთხკუთხა ფორმის მქონე ხატის ცენტრალურ, წრიულ ნაწილში – ტონდოზე გამოსახულ ანგელოზთა სამი ფიგურა იმდენად ზუსტადაა კომპოზიციურად აგებული და ერთმანეთს შერწყმული, რომ თითქოს ავტორი მათი წერისას ზუსტი მათემატიკური კანონებით ხელმძღვანელობდა, რამდენადაც ნებისმიერი დეტალის ოდნავი გადაადგილებაც კი აქ აშკარად დაარღვევდა კომპოზიციის მთლიან ჰარმონიულობას. ანგელოზთა ფიგურების რბილი მოდელირებით, დრაპირების ფერადოვანი ლაქებითა და მეტყველი, გამომსახველი ხაზებით უაღრესად დახვეწილი მოცულობითი ფორმა იქმნება. ავტორის ღრმა ფერწერულ აზროვნებაზე მეტყველებს ხატის უშვენიერესი კოლორიტი, აგებული შინდისფერის, მუქი ცისფერის, ზეთისხილისფერისა და ოქროსფერის ურთიერთშონაცვლე წყობაზე.

ვფიქრობ, რომ წერის რაფინირებული მანერითა და მაღალმხატვრული გამომსახველობით ეს ნაწარმოები უეჭველად იმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მართლმადიდებლური ქრისტიანული ხელოვნების საუკეთესო ძეგლთა შორის.

მეორე მიმართულებას უნდა განეკუთვნოს, ჩემი აზრით, ქართველ წმინდანთა პორტრეტები, რომლებიც შექმნილია საეკლესიო მონუმენტური მხატვრობის პრინციპების დაცვით („ღვთივდაცული საქართველო", „წმინდა გიორგი", „წმინდა ვახტანგ გორგასალი", „წმინდა თამარ მეფე").

მათგან უაღრესად შთამბეჭდავია ფერწერული ტილო „წმინდა ვახტანგ გორგასალი".

მეომრის სამოსით წარმოდგენილი ფიგურა ქართველი მეფისა მკაცრია და მტკიცე, რასაც ხაზს უსვამს მისი მყარი, ფრონტალური დგომა, ერთგვარი იერატიულობის ელფერი რომ დაჰკრავს. ფიგურის სტატუარულობასა და სიმკაცრეს, რასაც ავტორი აღწევს ცალკეულ დეტალთა და სახვით-ფერწერული ნიუანსირების ერთიან გამაში გაერთიანებით, მეფის გამოსახულება მონუმენტურობის სიმაღლემდე აჰყავს. აქ იგრძნობა დიდი შინაგანი ძალა მეფისა, რომელიც თითქოს გადის მისი ისტორიული ყოფიერების საზღვრებიდან და მეფე-გმირის, მეფე-მებრძოლის, მეფე-წმინდანის განზოგადებულ სახედ წარმოგვიდგება. სიტყვიერად აუხსნელია და გონებით ვერწვდომადი ის უეჭველად ღვთიური მადლით გარდამოვლენილი ძალა მხატვრისა, რითაც ამგვარი ფიზიკური ძალოვანებით და იმავდროულად, სულიერებით დამუხტული პორტრეტი იქმნება. ჩემი აზრით, „წმინდა ვახტანგ გორგასალი" მონუმენტური ფერწერის შედევრია.

მესამე მიმართულებას უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II შემოქმედებაში უნდა მივაკუთვნოთ ის ფერწერული სურათები (ძირითადად პორტრეტები), რომლებიც თავისუფალი, თანამედროვე ფერწერის მანერითაა შესრულებული („ძველთა დღეთაი", „ჩვენთან არს ღმერთი", „ქართლოსი", „დედისა და მამის პორტრეტები" და სხვ.). ისინი, გარკვეულწილად, ნაივური ხელოვნების ნიშნების მომცველია და მათში იმდენად გასაოცარი ძალით გამოსჭვივის უწმიდესის დიდი გულწრფელობა და ღრმა სულიერება, რომ ეს ნაწარმოებები, დამოუკიდებლად მათში გამოსახულ პირთა ვინაობისა, თავად მისი უწმიდესობის ავტოპორტრეტებად წარმოგვიდგება: მათ ხომ თითქოს შარავანდედად ადგას თეთრი ფერი – სიწმინდისა და სისპეტაკის სიმბოლო.

რადიშ თორდია
საქართველოს სახალხო მხატვარი

ქართული მხედრული ისტორიის ერთი ნათელი ფურცელი

1993 წლის 15-16 მარტი უმნიშვნელოვანესი თარიღია აფხაზეთის ომის ისტორიაში. ეს იყო დღეები, როდესაც კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა ქართველი კაცის ძლიერი მხედრული სული, სამშობლოსათვის თავდადება, მისი შინაგანი ბუნება. აფხაზთა სახელს ამოფარებული უცხო ძალა გამეტებით ცდილობდა იმ მიწის წაგლეჯას, რომელზედაც, კარგა ხანია, თვალი ჰქონდა დადგმული სათავისოდ და რომლის მოპოვების შესაძლებლობას ერთი წუთითაც არ უშვებდა ხელიდან. საშინელი ღამე იყო. ჭურვების გრიალისაგან ყურთასმენა დახშობოდა ყველას. ე.წ. მანათობელი ბომბებისაგან მდინარე გუმისთის მიმდებარე მთელი ტერიტორია დღესავით იყო განათებული. მტერი აჩადარის ციტრუსის პლანტაციებში შემოვიდა. თავგამეტებული ბრძოლა მიმდინარეობდა. სამშობლოს დამცველები გოჯსაც არ უთმობდნენ მტერს. მრავალი ვაჟკაცი შეიწირა ამ შეტაკებამ.

ყოველწლიურად 15-16 მარტს თბილისში აფხაზეთის ომში დაღუპულთა მემორიალთან უამრავი ადამიანი იკრიბება. აქ მოდიან აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის წარმომადგენლები, დაღუპულთა ახლობლები, უბრალო მოქალაქეები. ასე იყო წელსაც. ტრადიციულად ჯერ ვოვა ვეკუას მემორიალი შეამკეს გვირგვინებით, შემდეგ გმირთა მოედანზე გადაინაცვლეს, სადაც ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი) დაღუპულთა სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა. პანაშვიდი ჩაატარა ასევე ამაღლების ტაძარში დეკანოზმა ბიძინამ (გუნია). ბევრი თბილი სიტყვა ითქვა. იყო ცრემლი და მოგონებები.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თეიმურაზ მჟავია:

– მახსენდება ჩემი სტუდენტობის პერიოდის პოლემიკა, რომლის შინაარსი განსაკუთრებული აქტუალობით განიხილებოდა იმ ახალგაზრდებში, რომელთა ცნობიერებაში ღრმად იყო ფესვმოკიდებული დისიდენტური, საბჭოთა ტრადიციი-

(გაგრძელება მე-4 გვ.)

ქართული მხედრული ისტორიის ერთი ნათელი ფურცელი

(დასაწყისი მე-3 გვ.)

საგან მკვეთრად განსხვავებული წარმოდგენები, ეს გახლდათ თემა პიროვნებისა და საზოგადოების როლის შესახებ ისტორიაში და უმრავლესობის პოზიცია აშკარად იხრებოდა პიროვნების სასარგებლოდ. მას შემდგომ საკმაოდ დიდმა დრომ განვლო, პიროვნებისადმი და ისტორიული პროცესების განვითარებაში მისი აქტიური ფუნქციისადმი ჩემმა წარმოდგენამ ნაკლებად განიცადა ტრანსფორმაცია, მაგრამ პარალელურ სივრცეში საკუთარი ადგილი სხვამ, არანაკლებ მნიშვნელოვანმა დაიჭირა – სამშობლოს ჯარისკაცმა, მხედარმა, რომლის მისწრაფება და სულისკვეთება უშუალოდ ეხმიანება იმ უდიდეს ფასეულობას, რომლისადმი ერთგულება ქართულ ისტორიულ რეალობაში გამოკვეთილი ნიშან-თვისებაა და სამშობლოსადმი თავდადებულთა და ზვარაკად შეწირულთა დიდ წარმომადგენლობას ქმნის. ამ თვალსაზრისით 1993 წლის 15-16 მარტი ქართული მხედრული ისტორიის ორგანული და ნათელი ფურცელია, რომელიც სათავეს ისტორიული სიღრმეებიდან იღებს. ამბობენ, გმირებად არ იბადებიანო, თუმცა გმირობა გამორჩეულთა ხვედრია და უფლის ნებითაა განპირობებული, ამიტომ მათ ჩვენში უფლის კაცებად აღიარებდნენ და რაოდენ დასანანია, რომ მხედრულმა თავდადებამ და მხედრულმა თავგანწირვამ თანამედროვე ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში კუთვნილი და ღირსეული ადგილი ვერ დაიჭირა, თუმცა მინდა ვირწმუნო, რომ გმირი ქვეყნისათვის განსაკუთრებული სამსახურით სამომავლოში იმკვიდრებს საკუთარ ადგილს, არამედ იმიტომაც, რომ მათ მიმართ ჩვენი წარმოდგენაც უსათუოდ გაკეთილშობილდება.

კიდევ ერთი რამ ჩემი მოსაგონარიდან:

ამ რამდენიმე წლის უკან ჩემი სკოლის ყოფილი მოსწავლე ვახტანგი მეწვია, რომელმაც აფხაზეთის დაცემის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება უცხოეთში ეძია საკუთარი ბედი და ადგილი. ალბათ, მიაღწია კიდევაც საწადელს ნაწილობრივ, ჰოლანდიაში დროებით გაჩერებულმა სიყვარულიც იპოვა და ოჯახიც შექმნა, ორ ვაჟიშვილს ზრდის და სამსახურსაც არ ემდურის. გავცვალეთ ერთმანეთში შეკითხვები, პასუხებითაც დავიკმაყოფილეთ ჩვენი ინტერესი და ბოლოს შევეკითხე, თუ რამ დატოვა მასზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჰოლანდიაში, რაზედაც დაუფიქრებლად შემდეგი მომითხრო: ჰოლანდიაში ჩასვლისთანავე ჩემი ბიძაშვილის ძალისხმევით გავჩერდი ქ. უტრეხტის ერთ-ერთ სასტუმროში, რომელიც რატუშის მოედანზე მდებარეობდა. დავიკავე სხვენზე განლაგებული პატარა მანსარდული ნომერი, საიდანაც მთელი მოედანი ხელისგულზე იშლებოდა. რატუშის მოედნის ცენტრში აღმართული იყო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ ჰოლანდიელ ჯარისკაცთა მემორიალი, სადაც განუწყვეტლივ, დღე თუ ღამე თავს იყრიდნენ ქალაქელები, როგორც ხანში შესულები, ასევე ახალგაზრდები და გასაოცარ სითბოს ავლენდნენ საკუთარი ღირსების სიმბოლოს მიმართ. აქ მოჰყავდათ სკოლის მასწავლებლებს პატარა აღსაზრდელები, მოდიოდნენ შეყვარებული წყვილები, ომის ვეტერანები და ქალაქის სტუმრები... ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს მემორიალი მათი ცხოვრების ორგანული შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი იყო.

ვახტანგის მოთხრობილმა არა მხოლოდ დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვა ჩემში, არამედ გარკვეული გულისტკივილიც, ვინაიდან ჰოლანდიური უტრეხტის ქალაქელობა მომინდა იმ განცხადებითა და სულისკვეთებით, რამაც ვახტანგის ყურადღება მიიპყრო ეგრერიგად.

„მეგობრობა ვზად და ხიდად...“

უკრაინის დღეები საქართველოში

საქართველოსა და უკრაინას შორის ურთიერთობა დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ XII საუკუნეში იღებს სათავეს, მაგრამ XIX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში უკრაინა უფრო ახლოს ეცნობა ქართულ ხელოვნებას. თავის მხრივ უმაღლესი განათლების მისაღებად ახალგაზრდობა სულ უფრო ხშირად მიემგზავრებოდა საუნივერსიტეტო ქალაქებში – ხარკოვში, კიევში, ოდესაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უკრაინის თეატრისა და დრამატურგიის შემოღწევა საქართველოში. 1845 წელს თბილისში დაარსდა რუსული თეატრი და სტავროპოლიდან მოწვეულ იქნა პროფესიული თეატრალური ჯგუფის ხელმძღვანელი გ. პ. იაცენკო. თბილისში დაიდგა უკრაინული პიესები: „შელმენკო-დენშჩიკი“, „მაჭანკლობა გონჩარივკაში“ და სხვ. სულ მალე საქართველოსთან დაკავშირებული უკრაინული სასცენო ხელოვნების წარმომადგენელთა რიგები შეივსო გამოჩენილი პიროვნებებით. ესენი იყვნენ: მ. კროპივნიცკი, მ. სტარიცკი, ი. კარპენკო-კარი და სხვ.

ახალ საფეხურზე ადის ქართულ-უკრაინული ლიტერატურული კავშირებიც. თუ ჯერ კიდევ XVII საუკუნეში გადმოთარგმნილი იყო კიევის აკადემიის ფუძემდებლის პეტრე მოგილის ცნობილი „აღსარება“, ხოლო XVIII საუკუნეში – დიმიტრი ტუპტალოს თხზულებები, XIX საუკუნეში საქართველოში უკვე ცნობილია ი. კოტლიაროვსკისა და ტ. შევჩენკოს სახელები, რომლის ნაწარმოებები ქართულ ენაზე დაიბეჭდა 1877 წელს ((პოემა „ნაიმიჩკა“, თარგმანი ნიკო ლომოურისა).

ერთმანეთს პირადად ხვდებიან ტარას შევჩენკო და აკაკი წერეთელი. ქართველ და უკრაინელ ხალხთა ძმობის ისტორიაში აკაკი წერეთელი სამუდამოდ დარჩა ერთობისა და ძმობის სიმბოლოდ.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დავით გურამიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. პოეტი, რომელმაც ენით აუწერელი ტანჯვა გამოიარა, მონაწილეობა მიიღო შვიდწლიან ომში, თურქებთან, შვედებთან ბრძოლებში, 1760 წელს მკვიდრდება უკრაინაში, მირგოროდსა და ზუბოვკაში და აქტიურად ერთვება უკრაინის საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ცხოვრებაში. დავით გურამიშვილის ხსოვნა დღესაც ცოცხლობს უკრაინაში.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ილია ჭავჭავაძის განსაკუთრებული ყურადღება ქართულ-უკრაინული ურთიერთობების მიმართ. უკრაინის საზოგადოებრიობა მაღალ შეფასებას აძლევდა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. უკვე XIX საუკუნეში აყღერდა უკრაინულ ენაზე პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილი მისი ნაწარმოებები. ილია ჭავჭავაძის ცხოვრება გასხივოსნებული იყო მოძმე ხალხებს შორის მეგობრობის იდეალებით. ამასვე ქადაგებდა იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე.

შეუძლებელია არ ვახსენოთ თუნდაც ამ მცირე შენიშვნაში ლესია უკრაინკას სახელი, რომელიც ცხოვრობდა და აღესრულა საქართველოში. ქართულ-უკრაინული კავშირები არც XX და არც

(გაგრძელება მე-5 გვ.)

„მეგობრობა გზად და ხიდად...“

უკრაინის დღეები საქართველოში

(დასაწყისი მე-4 გვ.)

ახლა, XXI საუკუნეში შესუსტებულა. სისტემური ხასიათი მიიღო „უკრაინის კულტურის დღეებმა საქართველოში“ და „საქართველოს დღეებმა უკრაინაში“. და ამჯერად თბილისელ მოქალაქეებთან ერთად უკრაინელ მეგობრებს ტაშს უკრავენ აფხაზეთის მკვიდრნიც, რომელთათვისაც უკრაინა და უკრაინელები ჭეშმარიტ ძმებად, დამხმარეებად და აფხაზეთის ომის მძიმე დღეებში მხსნელებად იქცნენ.

2008 წლის 28 მარტს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მოეწყო საქართველოში უკრაინის წლის დახურვისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა დასკვნითი კონცერტი. მასში მონაწილეობდა ივანო-ფრანკოვსკის საოლქო ფილარმონიის სიმღერისა და ცეკვის გუცულური სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი (სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი უკრაინის სახალხო არტისტი პეტრე კნიაზევიჩი).

საქართველოში უკრაინის საელჩომ და თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის საოპერო თეატრის დირექციამ აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრს გადასცა მოსაწვევები, რამაც საშუალება მოგვცა კომპაქტურად განსახლებულ დევნილთათვის უკრაინული ხელოვნება გაგვეცნო.

შორენა გაწერელია, ეკონომისტი:

– მოხარული ვარ, რომ საქართველოში ჩატარდა უკრაინული დღეებისადმი მიძღვნილი კონცერტი. მისასალმებელია ამ ორ ქვეყანას შორის დამყარებული მეგობრული ურთიერთობა. ჩემის აზრით, ძალიან კარგი იყო ის, რომ უკრაინის კულტურის დღეების დახურვისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

ჩემზე ამ კონცერტმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. უკრაინული ფოლკლორი თავისი რიტმულობით იმდენად დადებითად მოქმედებს, რომ ძნელია სრულად გადმოსცე ის სიამოვნება, რომელიც მივიღე კონცერტზე. თითოეული სიმღერა თუ საცეკვაო ნომერი მაღალ პროფესიულ დონეზე იყო შესრულებული, და რაც მთავარია, იგრძნობოდა ის სითბო, რომლითაც უკრაინელი არტისტები „ქართველ მეგობრებს“ უძღვნიდნენ მათ.

იმედი მაქვს, რომ უკრაინული დღეები საქართველოში ყოველწლიურად გაიმართება და ქართველ მაყურებელს ყოველთვის ექნება იმის შესაძლებლობა, დატკბეს ამ ულამაზესი სანახაობით.

ვუსურვებდი საქართველოს იმეგობროს არა მარტო უკრაინასთან, არამედ სხვა ქვეყნებთანაც, და ეს მეგობრობა იყოს არა მარტო პოლიტიკური კუთხით, არამედ მოიცავდეს კულტურულ ღონისძიებებსაც. ჩვენს სულს ხომ ასე ძალიან სწყურია ის სილამაზე და ჰანგების სიტკბო, რასაც ჭეშმარიტი ხელოვნება ჰქვია.

ავთანდილ ქარაია, იურისტი:

– უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე საქართველოში უკრაინის წლის დახურვისადმი მიძღვნილმა კონცერტმა. ივანო-ფრანკოვსკის სიმღერისა და ცეკვის გუცულურმა სახელმწიფო ანსამბლმა უკრაინული ფოლკლორის მთელი მრავალფეროვნება წარმოაჩინა. ორი საათის განმავლობაში საოცარ სამყაროში ვიმყოფებოდით, მოშორებულნი ყოველდღიურ საფიქრალ-საზრუნავს. დიდი მადლობა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრს ამ სიამოვნების მონიჭებისათვის.

დაე, მარად იცოცხლოს უკრაინელი და ქართველი ხალხის ურღვევმა მეგობრობამ.

ახალი წელი ასირიულად

31 მარტიდან 1 აპრილის ღამეს ასირიელები ახალი წლის დადგომას ზეიმობენ. მათი წელთაღრიცხვით 6758 წელი დადგა. ამ დღესასწაულმა შეკრიბა ქვეყანაში ცნობილი ასირიელები და მათი მეგობრები, რომელთა შორისაც, ჩვენდა გასახარად, სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე და თანამშრომლები აღმოჩნდნენ.

ოდითგანვე საქართველო განთქმული იყო თავისი სტუმართმოყვარეობითა და იმ ადამიანებისადმი თანაგრძნობით, რომლებიც უმძიმესი განსაცდელის – მშობლიური მიწის, სახლის, კერის დაკარგვის წინაშე აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. ოდესღაც დაცემული ასირიის მკვიდრები მთელ მსოფლიოში გაიფანტნენ. მათი ნაწილი საქართველოში დამკვიდრდა. ათასწლეულები გავიდა, მაგრამ ასირიელთა გულში დაკარგული სიწმინდეების, რწმენის, ტრადიციების, ეროვნული ფოლკლორისადმი სიყვარული არ განელებულა. 1999 წელს საქართველოს მართლმადიდებელ ასირიელთა საზოგადოებასთან შეიქმნა ქალთა ცეკვის ანსამბლი „ნინევია“ (ნინევია – ასირიის უძველესი დედაქალაქია), რომელმაც შეისისხლხორცა იმავე სახელწოდებით ადრე არსებული ანსამბლის საუკეთესო ტრადიციები. მისი ხელმძღვანელი გახდა მშვენიერი ასირიელი ქალბატონი ლუდმილა ბით-კაში. მას შემდეგ ამ ანსამბლთან, რომელიც მუდმივად მონაწილეობს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ღონისძიებებში და გასტროლებით მოვლილი აქვს რუსეთის ფედერაცია, სომხეთი, ირანი, ჩვენი მეგობრობა გრძელდება.

ახლახან უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II აღსაყდრების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამო-კონცერტზე ანსამბლმა „ნინევიამ“ წარმატებით წარმოაჩინა თავისი შესაძლებლობები, თავისი ერთგულება ქრისტიანული მრწამსისადმი, თავისი მადლიერება კათოლიკოს-პატრიარქისადმი თანადგომის, დახმარების, ასირიელთა პრობლემებისადმი ყურადღებისათვის.

სიკეთესა და ბედნიერებას ვუსურვებთ საქართველოში მცხოვრებ ასირიელებსა და მთელ ასირიელ ხალხს. დაე, განმტკიცდეს მეგობრობა და ურთიერთგაგება საქართველოს ყველა ეროვნების მოქალაქეს შორის ჩვენი საერთო სამშობლოს – საქართველოს საკეთილდღეოდ.

თბილისის საოპერო თეატრი დევნილებს მასპინძლობს

ოპერის თეატრის გენერალურმა დირექტორმა დავით საყვარელიძემ დააკმაყოფილა სულიერებისა და კულტურის ცენტრის შუამდგომლობა და 29-30 მარტს სპექტალებზე „რიგოლეტო“ და „ატილა“ აფხაზეთიდან დევნილთათვის უსასყიდლოდ გამოყო 40-40 ბილეთი. ისინი დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ ჩვენს მოწვევას, სპექტაკლების შემდეგ რამდენიმე მათგანმა შთაბეჭდილება გაგვიზიარა:

ხატია ხარებავა, სოხუმის სახელმწიფო მოზარდ მაყურებელთა თეატრ „თეთრი ტალღას“ მსახიობი:

– გამოვტყდები, ოპერა არ მიყვარდა და არ მეგონა, რომ ოპერის მოსმენისას თვალებზე ცრემლი მომადგებოდა. „რიგოლეტომ“ მართლაც რომ დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ჯერ მარტო ასეთ თეატრში შესვლა რად ღირს! მის ლამაზ დარბაზში მუსიკის ჰანგები კიდევ უფრო მომაჯადოებლად ჟღერენ. სცენაზე თვალწარმტაცი სანახაობა ვიხილე – ფერადოვანი კოსტიუმები, დეკორაციები, ორკესტრი, დირიჟორი – ყველაფერი ეს უდიდეს ზემოქმედებით ძალას წარმოადგენს. ყველაზე მეტად მომეწონა მარინე ფარულავა და ელდარ გეწაძე ჯილდას სიკვდილისა და მამის დატირების სცენაში. ერთდროულად ითამაშო, იმღერო და იგრძნო! ეს მართლაც საოცრებაა!

ნინო ჯეჯეია, ეკონომისტი:

– აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის მოწვევით დავესწარი ოპერა „რიგოლეტოს“. უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე დიდებული ვერდის უკვდავმა მუსიკამ და ქართველ მსახიობთა შესანიშნავმა შესრულებამ. ვისურვებდი, უფრო ხშირად ჩატარებულიყო მსგავსი ღონისძიებები, რომლებიც სიხარულს, სიცოცხლის ხალისს მოგვანიჭებს დევნილ იოჯახებს. ულრმესი მადლობა მოწვევის ორგანიზატორებს.

თამთა სართანია, აბიტურიენტი:

– თავდაპირველად ვფიქრობდი, რომ ოპერაში წასვლის სურვილი არასოდეს გამიჩნდებოდა, მაგრამ აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის მოწვევით დეიდამ „რიგოლეტოზე“ წამიყვანა. მეგონა, მოვისმენდი და ჩემს აზრებს უფრო განვამტკიცებდი, მაგრამ სრულიად საპირისპირო რამ მოხდა: თეატრში შესულს სულ სხვაგვარი გრძნობა დამეუფლა, მერე კი საოცარი ჰანგების მოსმენამ ისე გამიტაცა, აღარც კი მახსოვდა, სად ვიმყოფებოდი. ეს საოცარი სამყარო იყო – ლამაზი, აღმაფრთოვანებელი, სევდიანიც, მაგრამ დიდებული. გამოფხიზლება არ მინდოდა. ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მეორე დღეს, ჩემი ასეთი აფორიაქების მნახველებმა, კვლავ მომცეს საშუალება ერთხელ კიდევ განმეცადა ყოველივე და ახლა ვერდის „ატილაზე“ წამიყვანეს. რა კარგი შემსრულებლები გვყოლია!

რიგოლეტო – ელდარ გეწაძე

დიდი მადლობა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრს, ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩვენი ცხოვრების შელამაზებას ცდილობს და ასერიგად ზრუნავს ჩვენი სულიერი სამყაროს გამდიდრებაზე.

სულიერი ცხოვრების კვალდაკვალ...

2007 წლის მაისში აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრს, რომელიც ახალ ბინაში გადავიდა, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი) და მონაზონი ელენე (ნაფეტვარიძე) ეწვივნენ. მასპინძლის როლში ცენტრის სხვა თანამშრომლებთან ერთად ამაღლების ტაძრის დეკანოზი ბიძინა (გუნია) იყო. კურთხევის შემდეგ მეუფე დანიელი დაინტერესდა იმ სამომავლო ღონისძიებებით, რომელთა განხორციელებასაც ცენტრი გეგმავდა. დედა ელენემ გამოთქვა აზრი, რომ კარგი იქნებოდა, ცენტრის საქმიანობა საინფორმაციო ბიულეტენში გაშუქებულიყო, რომელიც, ამავდროულად, დევნილ საზოგადოებას რელიგიური ხასიათის იმ მასალასაც მიაწვდიდა, რაც აუცილებელია ყველა ჭეშმარიტი მორწმუნისათვის.

იდეა მოგვეწონა, მაგრამ, ვინაიდან ცენტრის ბიუჯეტში მისი გამოცემისათვის თანხა გათვალისწინებული არ იყო, გადავწყვიტეთ, საკუთარი ძალებით მოგვეგვარებინა ეს პრობლემა. და აი, 2007 წლის ივლისიდან დავიწყეთ საინფორმაციო ბიულეტენის გამოცემა (თუმცა, არა სტამბური წესით). თავად ვბეჭდავდით და ვამრავლებდით, მაგრამ, მიუხედავად ასეთი პრიმიტიული სახისა, მან მოწონება დაიმსახურა. ყველა ინტერესით ელოდა მომდევნო ნომერს.

2008 წლიდან აფხაზეთის მთავრობის მხარდაჭერით გამოიძებნა სახსრები ბიულეტენის სტამბური წესით გამოცემისათვის და თებერვლიდან იგი მკითხველს უფრო მრავალფეროვანი სახით წარუდგა.

მზია კაკულია, ექიმი:

– მოხარული ვარ, რომ დღესდღეობით არსებობს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი. მინდა მადლობა გადავუხადო ამ ცენტრის დამაარსებლებს, ცენტრის თანამშრომლებს იმ ღონისძიებებისათვის, რომელთაც ხშირად ვესწრები, ასევე იმისათვის, რომ გამოიცემა ყოველთვიური ბიულეტენი.

მიხარია, რომ აფხაზეთს მოშორებული, ეს ცენტრი მაინც არ კარგავს აფხაზეთს. ამის დასტურია ბიულეტენის ბოლო ნომერში დიმიტრი გულიასადმი მიძღვნილი სტატია.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ბიულეტენის ყველა ნომერში არის ის მასალა, რაც ასე სჭირდება ჩვენს სულს – ინფორმაცია საეკლესიო დღესასწაულებზე, წმინდანთა ცხოვრება და, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და საჭიროა ჩვენთვის, მოძღვრის რჩევები.

იზა გუჯეჯიანი, საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფესიული კავშირების აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე:

– აფხაზეთის სულიერებისა და კულ-

(გაგრძელება მე-7 გვ.)

სულიერი ცხოვრების კვალდაკვალ...

(დასაწყისი მე-6 გვ.)

ტურის ცენტრის ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენი არის სარკე იმ საინტერესო და მრავალფეროვანი მუშაობისა, რომელსაც ეს ორგანიზაცია ატარებს. დიდი ინტერესით ვკითხულობ წმინდანების ისტორიას, რომლის ცოდნაც მნიშვნელოვანი და აუცილებელია თითოეული ქრისტიანისათვის. ასევე საინტერესოა ჩვენი სულიერი მოძღვრის მამა ბიძინას პასუხები იმ კითხვებზე, რომელიც თითოეულ ჩვენგანს ებადება.

მომწონს ბიულეტენის გაფორმება.

წარმატებებს ვუსურვებ სულიერებისა და კულტურის ცენტრის თანამშრომლებს შემდგომ საქმიანობაში.

ვენერა რურუა, ჟურნალისტი:

– ერთი წელიც არ არის გასული, რაც დღის სინათლეზე „ბიულეტენის" პირველი, მოკრძალებული, ცისფერი ზონარით შეკრული, კუსტარული, მაგრამ დიდი მონდომებითა და სიყვარულით „შეკოწიწებული" ნომერი გამოვიდა... მას შემდეგ მის ყველა ნომერს გულდასმით ვკითხულობ და სათუთად ვინახავ არა მხოლოდ მასში დაბეჭდილი მასალებისა და სიწმინდეების გამო. „ბიულეტენს" ჩემთვის, როგორც ჟურნალისტისათვის, სხვა დატვირთვაც აქვს – იგი აფხაზეთის საინფორმაციო-საგამომცემლო ისტორიაში ის პირველი მერცხალია, რომელმაც ჩვენი მძიმე ხვედრით გათანგული მრავალწლიანი დევნილობის სინამდვილეში სულიერი გაზაფხული უნდა მოიყვანოს, ჩვენივე ურწმუნოების გამო თავს დამტყდარი უბედურებისა თუ ქართველთა და აფხაზთა საერთო ქრისტიანულ საწყისებში ჩაგვახედოს, ურთიერთნდობა და სიყვარული, ურთიერთპატივისცემა და ერთმანეთის დღეგრძელობისათვის ლოცვა გვასწავლოს.

ღვთის შეწევნით, „ბიულეტენი" სულ უფრო და უფრო სრულყოფილ სახეს იღებს – ამჟერად იგი ფერადსურათოვანია და სტამბურადაც იბეჭდება. მადლობა ყველას, ვინც მის შექმნაში მონაწილეობს.

როგორც რიგით მკითხველს, დიდი სურვილი მაქვს, წმინდა მამების შეგონებების, ჩვენი დღევანდელი სულიერი და კულტურული ცხოვრების ამსახველი ინფორმაციების კვალდაკვალ, „ბიულეტენმა" გამაცნოს იმ დევნილ ბერ-მონაზონთა ცხოვრებაც, რომელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება და რომლებმაც უფლის გზა აფხაზეთში დამაბრუნებელი გზების ძიებაში იპოვეს.

ეთერ თოლორდავა, აფხაზეთის მთავრობის აპარატის თანამშრომელი:

– აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენი ემსახურება უდიდეს საქმეს – ფართოდ გავუღოთ გული უფალს. ვიაროთ იმ სულიერი ცხოვრების გზით, რითაც დადიოდნენ ჩვენი წინაპრები, აღვზარდოთ ღირსეული შვილები, საზოგადოებას გავაცნოთ ის ადამიანები, რომლებმაც, მიუხედავად ძნელბედობისა, ასახელეს ჩვენი ქვეყანა თავისი საქმიანობით, ქველმოქმედებით.

თითოეული ფურცელი გვახსენებს, რომ უდიდესი ტრადიციების მქონე ერი ვართ და ამ გლობალიზაციის ეპოქაში ჩვენი გენი მაინც მოახერხებს შეინარჩუნოს თვითმყოფადობა.

მადლობა თქვენს უნიჭიერეს კოლექტივს, რომელიც მეუფე დანიელის ლოცვა-კურთხევით უდიდეს ქართულ საქმეს აკეთებს და ასე ლამაზად აღვივებს ჩვენს გულში იმ ტრადიციებისა და სულიერების ერთგულებას, რომელზედაც საუკუნეების მანძილზე იდგა, დგას და იდგება ქართული სახელმწიფოებრიობა. მადლობა ქალბატონ სვეტლანა ქეცბას, რომელიც ჭეშმარიტი მაგალითია ქართველი და აფხაზი ხალხის ურღვევი, საუკუნოვანი სიყვარულისა.

ჩვენებურები

სოხუმის კერძო რადიოსადგურ „Soma-ს" მონაწილეობით და ბრიტანეთის არაკომერციული ორგანიზაცია „შერიგების რესურსების" მხარდაჭერით გამოიცა 2008 წლის კალენდარი „ერთი ქალაქის მხატვრები".

კალენდარში წარმოდგენილია 12 სოხუმელი მხატვრის: ახრა აჯინჯალის, გიორგი ბარონინის, მადინა ბიგვავას, შაქრო ბოკუჩავას, ბესლან ლასურიას, გოგი ლაზარაშვილის, გენადი ლაკობას, რაფილია მუხამედგალიევას, ლადო ფოჩხუას, ელდარ ქავშბაიას, ადგურ ძიძარიასა და ბათალ ჯოპუას თითო ნაწარმოები. ისინი დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობენ, მაგრამ სოხუმი იყო და რჩება მათი შემოქმედების შთაგონების მთავარ წყაროდ.

ელდარ ქავშბაია:

– როცა ჩემს ქალაქზე ვფიქრობ, წარმომიდგენია თბილი, მზიანი დღე... მივდივარ სანაპიროზე. ჩავუვლი თეატრს... ვუახლოვდები ნავმისადგომს. აქ ქოლგების ქვეშ დგანან სოხუმელები და სვამენ ყავას... თურქული ყავისა და მარილიანი ზღვის წყლის არომატით გაჟღენთილია ჰაერი... ვდგავარ მისადგომთან და პურის ნამცეცებს ვისვრი ჰაერში... თოლიები გუნდ-გუნდად აფრინდებიან... ჩინური იასამნის ნაზი, ტკბილი არომატი... გარშემო ყველაფერი ყვავის... ოლეანდრები... ჰორტენზიები... პალმები...

მახსოვს თუ არა სოხუმი? განა შეიძლება დაივიწყო დედა ან მამა, ძმა ან და? სოხუმი – ჩემი ცხოვრების ნაწილია, ყველაზე ნათელი, ლამაზი, დატვირთული, ორად გაყოფილი ცხოვრებისა – ომამდე და ომის შემდეგ. მეგობრები და ნათესავები რომ ვიგრიბებით, – რაღაცას ვყვებით, ყოველთვის ასე ვიწყებთ: ეს იყო იქამდე... ან შემდგომ...

სოხუმი განსხვავდება სხვა ქალაქებისაგან. ეს იყო ინტერნაციონალური ქალაქი, სადაც ძირითადად ერთმანეთთან რუსულ ენაზე ვურთიერთობდით, მაგრამ ეს არ იყო რუსული, რომელზედაც რუსები ლაპარაკობენ. ეს იყო რაღაც უცნაური სლენგი: რუსული – აფხაზურის, ქართულის, მეგრულის, ბერძნულის ნაზავით... სოხუმისაგან მოშორებით, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქებში, საუბრით ადვილად გამოვარჩევდი სოხუმელს.

ომმა ყველა შეგვცვალა, მათ შორის მეც; ის, რაც ომამდე მნიშვნელოვნად მეჩვენებოდა, დღეს ჩემთვის სასაცილოა. დღეს ჩემს მოგონებებში ცოცხლობს ომამდელი სოხუმი. ამიტომ ვხატავ სანაპიროებს დახურული ქოლგებით, ცარიელი ქუჩებით, სადაც არ ისმის სიცილი და სოხუმური სლენგი.

მე ოპტიმისტი ვარ. მჯერა, ოდესმე სოხუმი ისევ ისეთი ინტერნაციონალური გახდება, მაგრამ ეს უკვე სხვა ქალაქი იქნება. ღმერთმა ქნას, მას ბედი მეტად სწყალობდეს, ვიდრე ჩემს სოხუმს, რომელიც მარად ჩემთანაა.

საეკლესიო კალენდარი

2 მაისი (პარ.)	– „წყარო ცხოვრებისად“ წოდებული ღმრთისმშობლის ხატის დღესასწაული
4 მაისი	– თომას კვირა – კვირაცხოვლობა – (არტოსის პურის დარიგება მორწმუნეთათვის)
6 მაისი (სამშ.)	– გიორგობა (ხსენება წმიდისა დიდებულისა, დიდისა მოწამისა, ძლევაშემოსილისა და საკვირველთმოქმედისა გიორგისა, 303 წ.)
8 მაის (ხუთშ.)	– ხსენება წმ. მოციქულისა და მახარებელისა მარკოზისა
11 მაისი	– მენელსაცხებლე დედათა კვირა. კეთილმორწმუნე ქართველთა მეფის წმ. თამარის ხსენება (1213 წ.)
12 მაისი (ორშ.)	– ხსენება წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა (საქართველოში ქრისტეს პირველმქადაგებელისა)
13 მაისი (სამშ.)	– ხსენება მოციქულ იაკობ ზებედესი – წმ. იოანე ღმრთისმეტყველის ძმისა (44 წ.)
	– ხსენება წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვისა
14 მაისი (ოთხშ.)	– ხსენება კეთილმორწმუნე ქართველთა მეფისა წმ. თამარისა
15 მაისი (ხუთშ.)	– ხსენება წმ. ათანასე დიდისა, ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისა
18 მაისი (კვ.)	– ხსენება დიდმოწამე ირინესი– დღესასწაული ღმრთისმშობლის ხატისა „ბარძიმი შეუსმელი“
20 მაისი (სამშ.)	– ხსენება სასწაულისა პატიოსნისა ჯვარისა, რომელი გამოცხადდა ცასა შინა იერუსალიმს (351 წ.)
	– ხსენება ღირსისა იოანე ზედაზნელისა და ათორმეტთა მოწაფეთა მისთა
21 მაისი (ოთხშ.)	– ხსენება წმ. მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღმრთისმეტყველისა (98-117 წ.წ.)
22 მაისი (ხუთშ.)	– ნიკოლოზობა (აღმოყვანება ნაწილებისა წმ. ნიკოლოზ საკვირველთმოქმედისა მირონ-ლუკიიდან ბარში, 1087 წ.)
23 მაისი (პარ.)	– ხსენება მოციქულ სვიმეონ მოშურნისა
31 მაისი (შაბ.)	– შვიდი მსოფლიო კრების წმ. მამათა ხსენება

ვნების შვიდეული

დიდმარხვის პერიოდი განსაკუთრებული დროა თითოეული მართლმადიდებელი ქრისტიანის ცხოვრებაში. ეს არის დრო საკუთარი თავის უკეთ შეცნობისა, დრო სინანულისა და ცოდვებისაგან განწმენდისა, დრო ლოცვისა და მარხვისა, ქველმოქმედებისა თუ სხვა სათნოებათა აღსრულებისა.

დიდი მარხვა საპასექო წლის მესამე, ბოლო პერიოდს მიეკუთვნება და იგი პირობითად სამ ქვეპერიოდად იყოფა. I პერიოდი – დიდი მარხვის მოსამზადებელი პერიოდი, ოთხ კვირა დღეს და სამ შვიდეულს მოიცავს. იგი მეზვერისა და ფარისევლის კვირის მსახურებით იწყება და ყველიერის კვირით სრულდება. II პერიოდი, ანუ საკუთრივ დიდი მარხვის (ძირითადი) პერიოდი, ექვს კვირა დღეს მოიცავს და ბზობის კვირით მთავრდება. III პერიოდი კი ვნების შვიდეული გახლავთ.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის წინა ბოლო შვიდეული, მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელი დღეების გახსენებას ეძღვნება: საიდუმლო სერობას, მის გაცემას, პილატეს სამსჯავროს, ჯვარზე ვნებას, სიკვდილსა და საფლავად დადებას, რის გამოც ეს შვიდეული ვნების შვიდეულად იწოდება.

ამ შვიდეულის ყოველ დღეს, წმიდა ეკლესია განსაკუთრებული მსახურების აღსრულებით ცდილობს მოამზადოს მლოცველები მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის სათანადოდ შესახვედრად, რათა თითოეული მორწმუნე უფლის დიდების, (ამ დღესასწაულით გამოწვეული) განუზომელი სიხარულის, ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულების თანაზიარი გახდეს.

ვნების შვიდეულის პირველ სამ დღეს (ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს) ოთხივე სახარება იკითხება ღვთისმსახურებისას, რათა თითოეული განიმსჭვალოს სახარებისეული სიბრძნით, რაც გახლავთ კიდეც ერთ-ერთი უცილობელი პირობა სულიერი გამოღვიძებისა, ფერისცვალების დაწყებისა, ადამიანთა განღმრთობისა. ამ დღეებში პირველშეწირულის ლიტურგია აღესრულება მორწმუნეთა ზიარებისათვის.

დიდი ორშაბათის ღვთისმსახურებისას დედა ეკლესია მოუწოდებს ყველა მორწმუნეს შეუგეს ქრისტეს, ჯვარს ეცვას მასთან ერთად, მოაკვდინოს ხორცი ამქვეყნიურ სიამეთათვის, რათა მარადჟამს უფალთან მყოფობდეს. ცისკრის ჟამნზე მე-3 რიგის კანონის წაკითხვის შემდეგ, წმიდა ეკლესია მორწმუნეთა ყურადღებას მიაპყრობს წმ. იოანე ოქროპირის (IVს.) სწავლებას – „განხმელისათვის ლეღვისა“ და წმ. იოანე დამასკელის (VIIIს.) სიტყვას „იგავისათვის ვენახისა“ (იხ. მარხვანი, გვ. 488).

მორწმუნეთათვის განკუთვნილი ზემოხსენებული სწავლება შეაგონებს თითოეულს, რათა უფალი გახდეს გამგებელი და მპყრობელი ადამიანთა გულებისა, რათა უფალმა დაივანოს ჩვენს გულებში და განწმინდოს იგი ყოველგვარი მწიკვლისაგან.

ამ დღეს ყურადღებას იპყრობს **სვინაქსარის** საკითხავიც, რომელიც საცისკრო კანონთა სამსაგალობლის I გალობის შემდეგ აღესრულება (იხ. მარხვანი, იქვე). აქ მლოცველთა გულისხმა მიემართება წმინდა იოსებისაკენ (პატრიარქ იაკობის შვილი რაქელისაგან), რომლის ცხოვრებაც წარმოჩენილია როგორც წინა სახე იესო ქრისტეს ვნებისა (გაცემისა, ღალატისა და დამდაბლებისა).

ამ დღეს მორწმუნეთა გულისხმისყოფისათვის იკითხება **კონდაკი**:

– „იოსების წარწყმედასა იგლოვდა მწარედ იაკობ, ხოლო მას დაედგნეს ახოვნებისა შარავანდედნი, და მეფობდა

(გაგრძელება მე-9 გვ.)

ვნების შვიდეული

(დასაწყისი მე-8 გვ.)

ამისთჳს, რამეთუ არა დაამონა გულისთქმა თჳსი მეძჳსა ნებასა, და სამართლად იდიდა იგი გულთ მეცნიერისა ღვთისაგან, და მიეცა გჳრგჳნი უხრწნელებისა“.

დიდ სამშაბათს (ცისკრის ჟამნზე, რიგის კანონთა წაკითხვის შემდეგ), იკითხება წმ. იოანე ოქროპირის 77-ე სიტყვა მათეს სახარების 24-ე თავის 32 და 33 მუხლების შესახებ. აქ საუბარია სულიერ ზაფხულზე, ანუ იმ მდგომარეობაზე, რომელიც დადგება ჭეშმარიტ მორწმუნეთათვის მეორედ მოსვლის შემდეგ, როცა ჩაივლის საწუთრო – „ცოდვის ზამთარი“.

ამ დღესვე იკითხება **სვინაქსარი**, რომელიც გვახსენებს იგავს ათ ქალწულზე, რათა ვისწავლოთ სულიერი სიფხიზლე და მზად ვიყოთ იმ მოულოდნელი წამისთვის, როცა ... – ***„სიძე მოვალს შუაღამესა“.***

III, VI და IX ჟამნებზე განჩინებული სახარებების კითხვის დასრულების შემდეგ იკითხება წმ. იოანე ოქროპირის სიტყვა მოწყალებასა და (კვლავ) ათ ქალწულზე.

წმიდა ეკლესია მორწმუნეთა ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებს შემდეგ **კონდაკზე**:

„ჟამსა მას განსლვისასა იჳსენებდი შენ, ჵ სულო ჩემო, შეძრწუნდი მოკვეთისა მისგან ლეღვისა, და მოცემული შენდა ტალანტი, განამრავლე შრომითა და სიყვარულითა, საწყალობელო, იღვიძებდ და ლმობიერად ულაღადებდ: ქრისტე მრავალმოწყალეო, ნუ განმაგდებ მე სასძლოსაგან შენისა“.

დიდ ოთხშაბათს ეკლესია იხსენებს მაცხოვრის მიერ ბეთანიაში გატარებულ დღეს (მთ. 26, 6-17). აქ სიმონ კეთროვნის სახლში, მაშინ, როცა მღვდელმთავართა, მწიგნობართა და უხუცესთა საბჭოზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იესო ქრისტეს შეპყრობისა და მოკვდინებისა, ცოდვილი დედაკაცი თავზე ნელსაცხებელს სცხებს მაცხოვარს, რითაც ერთგვარად განამზადებს მას დაფლვისათვის.

ამ დღეს მორწმუნეთა განსწავლისათვის წმ. იოანე ოქროპირის მე-80 სიტყვაც იკითხება მათეს სახარების 26-ე თავის მე-6 მუხლის შესახებ. წმიდა მამა გვმოძღვრავს განსაკუთრებით მოვერიდოთ სიძვისა და ვერცხლისმოყვარეობის დამღუპველ ცოდვებს. მისი სწავლებით, ვნების თვისება არ არის მინავლდეს შემდგომად ხორციელი დაკმაყოფილებისა, არამედ პირიქით, შემდგომად წადილის აღსრულებისა იგი უფრო მეტად მოიცავს ცოდვილი ადამიანის სულს.

სვინაქსარში გადმოცემულია აზრი, მარად გვახსოვდეს ცოდვილი დედაკაცის კეთილგონიერი საქციელი, როგორც ამას მათეს სახარების 26-ე თავის მე-13 მუხლი გვამცნებს: – ***„ამენ გეტყჳ თქუენ: სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე ყოველსა სოფელსა, ითქუმოდის რომელიცა-ესე ყო მაგან საჴსენებელად მაგისა“.***

ამ დღეს ასეთ **კონდაკს** სთავაზობს მორწმუნეებს დედა ეკლესია:

– ***„ვსცოდე უმეტეს მეძჳსა მის, სახიერ, არა მაქუს ცრემლთა ნაკადული შეწირვად შენდა, არამედ დუმილით შეგივრდები, და სურვილით ამბორს უყოფ ფერხთა შენთა, და გეკედრები: მოტევება ცოდვათა მომანიჭე, ვითარცა მეუფემან, და ბიწთა საქმეთა ჩუჱნთაგან განმათავისუფლე, ვითარცა მაცხოვარმან“.***

დიდი ხუთშაბათის მსახურებაში, მოთხრობილია იმ მოვლენებზე, რომლებიც წინ უსწრებდა მაცხოვრის ვნებას. კონკრეტულად: მოწაფეებთან ერთად ბოლო პასექის აღსრულება, ფეხთბანვა, ევქარისტიის საიდუმლოს დაწესება და იუდას მიერ მაცხოვრის გაცემა.

წმიდა ეკლესია ამ დღეს გვთავაზობს საგალობლებს, რომელთა მეშვეობითაც ვჭვრეტთ მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელ დღეებს, რათა განვიმსჭვალოთ იმ განცდებითა და ტკივილებით, რაც მაცხოვრის ვნებასთან არის დაკავშირებული. ამასთან, ვიცით რა, რომ ყოველივე კაცთა ცხონებისათვის აღესრულა, უფლისადმი განუზომელი სიყვარულით აღივსოს ჩვენი გულები.

ცისკრის ჟამნზე საცისკრო კანონთა III გალობის შემდეგ წმიდა იოანე ოქროპირის სიტყვა იკითხება იუდას გამცემლობაზე, რათა ყოვლითურთ განვეშოროთ იუდას საქციელს და იუდეველთა ბორგნეულ განზრახვებსა და ქმედებებს.

დიდ ხუთშაბათს საიდუმლო სერობის გასახსენებლად წმ. ბასილი დიდის ლიტურგია აღესრულება. ეკლესიური სწავლებით ამ დღეს ყველა მორწმუნე უნდა ცდილობდეს ეზიაროს მაცხოვრის წმიდა ხორცსა და სისხლს, რათა მარადიული ცხოვრება დაიმკვიდროს ცათა სასუფეველში, როგორც ამას თვით უფალი გვამცნებს: ***„და რომელი ჭამდეს ხორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემთანა დადგრომილ არს, და მე მის თანა“ (იო. 6, 56).***

მლოცველთა გულისხმისყოფისათვის ამ დღეს მსახურებისას შემდეგი ტროპარ-კონდაკიც იკითხება:

ტროპარი: ***„რაჟამს დიდებულნი მოწაფენი საბანელსა მას სერობისასა განათლდებოდეს, მაშინ უსჯულო იუდა ვეცხლის მოყვარებისა სენითა დაბნელდებოდა, და უსჯულოთა მსაჯულთა შენ, მართალსა მსაჯულსა, მიგცემდა. იხილეთ, ჵ მორწმუნენო, ტრფიალი იგი ვეცხლისა, რომელმან მისთჳს შიშთვილობა, ივლტოდე უძღებისა მისგან სულისა, რომელმან მოძღვარსა თჳსსა ზედა ესე ვითარი იკადრა, არამედ რომელმან ყოველივე სიბრძნით განაგე, კაცთმოყვარე, დიდება შენდა“.***

კონდაკი: ***„მიიღო პური ჴელთა შინა განმცემელმან იუდა ჴელთაგან დამბადებელისათა, რომელმან ჴელითა შექმნა ადამი, და მერმე მანმარტნა, და მოიღო ფასი მოძღვრისა და ღვთისა მზაკვარმან, და არა შეიგონა, არამედ ეგო უკურნებელად“.***

დიდი პარასკევის მთელი მსახურება მაცხოვრის ჯვარზე ვნების გახსენებას ეძღვნება და უდიდესი მწუხარებით არის განმსჭვალული.

ცისკრის ჟამნზე თორმეტი ვნების სახარება იკითხება. ამასთან, დღის მსახურების თითოეული ჟამნი ნათლად წარმოაჩენს მაცხოვრის ვნების სხვადასხვა სახეს, გეთსამანიის ბაღში სისხლით განზავებული ოფლით დაწყებული, გოლგოთაზე მისი ჯვარზე აღსრულებით დამთავრებული. თითოეული საგალო-ბელი თუ საკითხავი სინანულის ცრემლითაა აღსავსე, გულის შემძვრელია და ცოდვის შემმუსვრელი, ამავე დროს იმედის ჩამსახველიც.

დიდ პარასკევს, მაცხოვრის ვნებასთან დაკავშირებით, უსისხლო მსხვერპლშეწირვა – წმიდა წირვა არ აღესრულება, ნიშნად იმისა, რომ თვით უფალი იყო უკანასკნელი სისხლიანი მსხვერპლი ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულების აღსრულებისას.

მწუხრის ჟამნის ბოლოს საკურთხევლიდან შუა ტაძარში წმიდა გარდამოხსნას გამოაბრძანებენ, რომელსაც წინდაწინ გამზადებულ ლუსკუმაზე დაასვენებენ.

ამ დღეს მთელი გულის შემუსვრილებით ასე უნდა ვლოცულობდეთ:

ტროპარი: ***„მომიყიდენ ჩუჱნ წყევისა მისგან ჰსჯულისა პატიოსნითა სისხლითა შენითა, ჯვარსა ზედა რა დაემსჭვალე, და ლახვრითა განიგმირე, და უკუდავება აღმოუცენე კაცთა, მაცხოვარო ჩუჱნო, დიდება შენდა“.***

კონდაკი: ***„რომელი ჯუარს-ეცვა ჩუჱნთჳს, მოვედით ერნო, უგალობდეთ მას, იხილა იგი მარიამ ჯვარსა ზედა***

(გაგრძელება მე-10 გვ.)

ვნების შვიდეული

(დასაწყისი მე-8 გვ.)

და სთქვა: დაღაცა თუ ჯვარსა ზედა გიხილე, შენ ხარ ძე ჩემი და ღმერთი ჩემი, ყოვლად ძლიერი, კაცთმოყვარე და მაცხოვარი“.

დიდ შაბათს წმიდა ეკლესია იხსენებს მაცხოვრის საფლავად დადებას, ხორციელად საფლავში ყოფნას, ხოლო განღმრთობილი სულით კი ჯოჯოხეთში ჩასვლას და მართალთა სულების გამოხსნას, და მამასა და სულიწმიდასთან განუშორებლად თანამყოფობას, ასევე გვაზიარებს საოცარ მოლოდინს უდიდესი მოვლენისა – მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომისა.

ამ დღეს საზეიმოდ ინათლებიან „ნათლადგანმზადებულნი“, რომლებიც წმიდა ბასილი დიდის წირვაზე ეზიარებიან კიდეც.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დიდი შაბათის მსახურება გამშვენებულია ურთიერთსაპირისპირო სულიერ განცდათა საოცარი გამით: მწუხარებითა და სიხარულით, ცრემლითა და სულიერი აღმაფრენით, გულისტკივილითა და სულიერი გაცისკროვნებით.

მსახურებაზე მორწმუნენი მთელ გულისყურს შემდეგი **ტროპარებისკენაც** მიმართავენ:

– ***„შვენიერმან იოსებ ძელისაგან გარდამოჴსნა უხრწნელი გვამი შენი ქრისტე, და არმენაკითა წმიდითა წარგრაგნა, სუნნელებითა შემურვილი, ახალსა საფლავსა დაგდვა“.***

– ***„რაჟამს შთახედ საფლავად ცხოვრება ეგე უკუდავი, მაშინ ჯოჯოხეთი შეაძრწუნე ელვითა მით ღუთაებისა შენისათა, ხოლო რაჟამს მკუდარნი ქუესკნელით აღმოიყვანენ, მაშინ ყოველნი ძალნი ცათანი ღაღადებდნენ: ცხოვრების მომცემელო ქრისტე ღმერთო, დიდება შენდა“.***

დიდი შაბათის მსახურების დასრულების შემდეგ, თითქოს მთელი სამყარო გაირინდაო, უდიდესი დღის – მაცხოვრის აღდგომის მოლოდინში, მლოცველები მდუმარებით, მარხვითა და აღსარებით ემზადებიან ზეიმისათვის.

და ბოლოს, რათა აქაც და მარადიულ ცხოვრებაშიც თანაზიარნი გავხდეთ მაცხოვრის დიდებისა, სულის სარგო ჩვენთვის ერთი **ტროპარის** დასწავლაც იქნება:

– ***„აჰა ესერა სიძე მოვალს შუა-ღამესა, და ნეტარ არს მონა იგი, რომელი იპოვოს მღვიძარედ, ხოლო ვაჲ არს მონისა მის, რომელი იპოვოს უდებებით, იხილე სულო ჩემო, და ნუ გრულის ძილისათჳს, რათა არა გამოვარდე სასუფეველისაგან, არამედ აღიმსთვე შუა-ღამესა და ჴმობდი: წმიდა-ხარ, წმიდა-ხარ, წმიდა-ხარ, შენ ღმერთო ჩუენო, ღვთისმშობელისა მიერ შეგჳწყალენ ჩუენ“.***

თბილისში, სოლოლაკში
მდებარე ამაღლების
ტაძრის წინამძღვარი
დეკანოზი ბიძინა (გუნია)

ჩვენი მოძღვარი

(კითხვა-პასუხი სულიერი ცხოვრების შესახებ)

– როგორ გავიგოთ მაცხოვრის სიტყვები: „მამით ნუვის ჰხადით ქვეყანასა ზედა, რამეთუ ერთი არს მამა თქუენი, რომელ არს თქუენი, რომელ არს ცათა შინა“ (მთ. 23. 9)?

– წმ. იოანე ოქროპირის სწავლებით, „ეს სიტყვები იმიტომ კი არ ითქვა, რომ არავის ვუწოდოთ მამაო, არამედ, რათა გულისხმა-ვყოთ, თუ ვინ არის ჭეშმარიტი მამა. როგორც მრავალნი არიან მოძღვრებად სახელდებულნი, მაგრამ ჭეშმარიტი მოძღვარი არის ქრისტე, ასევე, თუმცა კაცთ მამა ეწოდება, მაგრამ მამა არავინ არის, გარდა ღმერთისა, რომელიც მიზეზია ყოველთა მოძღვართა და მამათა“.

– რა თვისებები ახასიათებს გულფიცხელ ადამიანს?

– წმ. იოანე კიბისაღმწერელის შეგონებით, „გულფიცხელი და ულმობელი უგუნური ფილოსოფოსია, მოძღვარია თვითდასჯილი, თავისი თავის საწინააღმდეგოდ მეტყველი, ბრმათა წინამძღვარი. თვად ვერ ხედავს და სხვებს ასწავლის ხედვას, წყლულების განკურნებაზე საუბრობს და საკუთარ თავს განუწყვეტლივ წყლავს. ვნებებს შეაჩვენებს და მაშინვე იქ მიიქცევა. პირით კეთილის ქმნას აღუთქვამს და საქმით ბოროტებას აღასრულებს“.

– რას გვეტყვით კვირა დღის შესახებ?

– წმ. თეოფილე ალექსანდრიელის მიხედვით, „ჩვეულებაცა და სამართალიც ითხოვს ჩვენგან ყოველი კვირა დღის პატივისცემასა და მის დღესასწაულობას, ვინაიდან ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ ამ დღეს მოგვმადლა ჩვენ მკვდრეთით აღდგომა. ამის გამო საღვთო წერილში ამ დღეს ეწოდება პირველი, როგორც ჩვენი ცხოვრების დასაწყისს, და მერვე, როგორც ურიების (იუდეველების) შაბათობაზე ზეაღსრულს“.

– რისთვის შეიძლება მიატოვოს ადამიანი ღმერთმა?

– წმ. იოანე დამასკელის განმარტებით, „თუკი ღმერთი ადამიანს მიატოვებს, ეს ორგვარად ხდება: ერთია მხსნელი მიტოვება, რომელიც შეაგონებს ადამიანს კვლავ ღმერთისაკენ მოიქცეს, მეორე კი – საბოლოო მიტოვება და ღმერთისაგან სრულ მიტოვებას გულისხმობს. მხსნელ, ანუ ადამიანის დამმოძღვრავ მიტოვებას ღმერთი იმიტომ მიმართავს, რომ გამოასწოროს, იხსნას და განადიდოს ვნებული ადამიანი, ანდა მისი მეშვეობით სხვა ადამიანებსაც შთაუნერგოს საღმრთო მოშურნეობა და კეთილმსახურება, თავისი განდიდებისთვის განაწესოს ისინი. საბოლოო მიტოვებით კი მაშინ სჯის ღმერთი ადამიანს, როცა ეს უკანასკნელი, მიუხედავად ღმერთის მხრივ ყოველი ძალისხმევისა მის სახსნელად, კვლავაც შეუსმენელი, უგრძნობელი და განუკურნავი რჩება“.

– როგორი ბოლო აქვს სხვათა ქონების მოხვეჭას?

– წმ. თეოფანე დაყუდებულის შეგონებით, „უსმართლობა, რომელიც ძალადობითა თუ ცბიერებით იხვეჭს სხვათა ქონებას, დროებით ზეიმობს. არსებობს თვალი, რომელიც ყოველივეს უმზერს. დაირღვევა უკანონობის ზღვარი და ღვთის სამართალიც არ დააყოვნებს. ასეა ცალკეული ადამიანებისათვის, ასეა მთელი ერისათვის“.

– ერთსა და იმავე ცოდვაზე ერთნაირად მოეკითხებათ თუ არა პასუხი მართლმადიდებლებსა და სხვა სარწმუნოების აღმასრულებელთ?

– წმ. გრიგოლი პალამას სწავლებით, „არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ბევრად მეტი პატივი გვხვდა წილად, რადგან ქრისტიანებად ვიწოდებით და ამდენად, ცოდვებისთვის პასუხსაც მეტს მოგვთხოვენ“.

თბილისის სასულიერო აკადემიისა
და სემინარიის ლიტურგიკის პედაგოგი
დეკანოზი ბიძინა (გუნია)

ხსოვნა

მოვიდა გაზაფხული, მაგრამ დიდი სევდა მოუტანა ქართულ საზოგადოებას. წავიდა ამქვეყნიდან ორი უმშვენიერესი ქალბატონი, ორი დიდებული ხელოვანი, ორი ბურჯი ქართული კულტურისა _ სოფიკო ჭიაურელი და ანა კალანდაძე. განუზომელია ტკივილი. მათ მარადიული ადგილი დაიმკვიდრეს მშობელი ხალხის გულებში. მათი დიდი ნიჭიერებითა და სიყვარულით გაჯერებული შემოქმედება სცენიდან თუ წიგნის ფურცლებიდან მილიონებს სწვდებოდა, ცხოვრების გზას უნათებდა, იმედითა და სიხარულით ავსებდა.

მსუბუქი იყოს მათთვის ქართული მიწა!

„შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო...“

ეს ერთ-ერთი იმ დიდებულ ლექსთაგანია, რომელიც ქართული პოეზიის შედევრად მიიჩნია ქართველმა ხალხმა და მის მრავალ სხვა ლექსთან ერთად გაითავისა. სწორედ ამ ლექსის წაკითხვით დაასრულა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწე სვეტლანა ქეცბამ საღამო, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სახელოვან პოეტს. საღამოს აფხაზეთიდან დევნილი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ საქართველოს სახალხო არტისტები – კომპოზიტორი მერი დავითაშვილი და მსახიობი ზინაიდა კვერენჩხილაძე. ქალბატონმა ანამ მისთვის ჩვეული თავმდაბლობითა და მოკრძალებით მოუსმინა აფხაზეთის მკვიდრ ნორჩ მკითხველებსა და მუსიკოსებს და დიდი მადლიერება გამოხატა უჩვეულო შეხვედრისათვის, აქ ხვდებოდა ქართველებს აფხაზეთიდან, სოხუმიდან. არ დაუშურებია დასალოცი სიტყვები მათთვის, ვისაც ასეთი მოულოდნელი ტკივილი დაატყდა თავს.

სოხუმის ალ. შერვაშიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის აღსაზრდელებმა საღამოს მანძილზე პოეტის პორტრეტები შექმნეს და ქალბატონ ანას მიართვეს.

დარბაზში ისეთი განწყობილება სუფევდა, რომ აშკარად იგრძნობოდა, რა ძლიერად სურდა ყველას ეს საღამო იქ, აფხაზეთში გამართულიყო. პოეტსა და მსმენელს შორის უხილავი ძაფები გაიბა, რომელსაც გაწყვეტა არ უწერია და სულებს მარადიული სითბოთი და სიყვარულით ასხივოსნებს.

ეს შეხვედრა უკანასკნელი აღმოჩნდა ჩვენთვის...

წავიდა ჩვენგან დიდი ქალბატონი და თავის უკვდავ შემოქმედებასთან ერთად იმ საღამოს დამსწრეთ დაგვიტოვა მეხსიერებაში ღრმად ჩაბეჭდილი სათუთი სახე პოეტისა ახალგაზრდულად გაბრწყინებული თვალებით, როდესაც საღამოს დასასრულს სვეტლანა ქეცბამ მოულოდნელად შეწყვიტა რუსულად საუბარი და ცრემლნარევი ხმით წაიკითხა:

„შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო,
შენ ისე ღრმა ხარ...
სამკვიდრო შენს ქვეშ მტრად შემოსულმა
ვერავინ ნახა:
ვერცა ოსმალომ, ვერცა მონღოლმა
და ვერცა სპარსმა...
შენი დიდების მომღერალია
ოშკი და ზარზმა...
ბებერი ტაო...
შენ ისე ღრმა ხარ, ისე ფაქიზი,
ქართულო ცაო...“

ელდარ ქავშბაია

სოხუმი 2002

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ალექსანდრე ფარფალია, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 93-17-20, 895-41-21-70